

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზია და რადიოს
დირექტორის საქმიანობის
ყოველკვარტალური ანგარიში



საანგარიშო პერიოდი:

2023 წლის

მეორე კვარტალი

01/04/2023-30/06/2023

ბათუმი

სარჩევი

1. შესავალი;
2. ჩვენი წინასწარი დაგეგმვა;
3. კვარტლის მიღწევა;
4. კვარტლის გამოწვევა;
5. „პროგრამა=პრიოტიტეტს“-შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:
ტელევიზია - შედეგები და საჭიროებები;
რადიო - შედეგები და საჭიროებები;
ინტერნეტი - შედეგები და საჭიროებები;
მონიტორინგის ანგარიშები.
6. იურიდიული მხარდაჭერა;
7. კვარტლის სახელმწიფო შესყიდვები;
8. ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შექმნა;
9. „შემდეგი თაობა“ - სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა;
10. საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები;
11. მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა;
12. მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი;
13. ჩვენი სხვა აქტივობები;
14. სამომავლო რისკები და გამოწვევები;
15. გეგმები შემდეგი ანგარიშისთვის;

შესავალი

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო ხელმძღვანელობს მრჩეველთა საბჭოს და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ განსაზღვრული პროგრამული პრიორიტეტებით, კანონმდებლობით დადგენილი შინაარსობრივი ვალდებულებებით. მაუწყებელი მუდმივად ორიენტირებულია საზოგადოებას მიაწოდოს ზუსტი, სამართლიანი და მიუკერძოებელი მედიაპროდუქტი დროულად და ხარისხიანად.

იგი მოწოდებულია უზრუნველყოს საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ხელშეწყობა ობიექტურ რეალობაში, პროგრამების მრავალფეროვნებითა და ყოვლისმომცველობით გამოკვეთოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებები და იქცეს პრობლემების იდენტიფიკატორად მათი ოპტიმალური გადაწყვეტის ხელშესაწყობად.

ჩვენი წინასწარი დაგეგმვა

- მაუწყებლის განვითარების შესაძლებლობების კვლევა და ანალიზი;
- აუდიტორიის შენარჩუნება და გაზრდის ღონისძიებების დაგეგმვა;
- კონვერგირებული მედიის განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;
- მაუწყებლის პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელების წესის მომზადება და პრაქტიკაში დანერგვა;
- თანამშრომლებთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების განხორციელება;
- რადიო ეთერში კვირის შემაჯამებელი ჰიტ-ათეულის მომზადება, ახალი რუბრიკების მომზადება;
- სატელევიზიო და რადიო პროგრამების განვითარებისა და სრულყოფის ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;
- ახალი სატელევიზიო და რადიო პროექტების შემუშავების ხელშეწყობა.

კვარტლის მიღწევები:

- 2023 წლის 1 აპრილიდან თანაბარი და სამართლიანი მიდგომის პრინციპის გათვალისწინებით შრომის ანაზღაურება გაეზარდათ 1050 ლარზე მეტი ხელფასის მქონე თანამშრომლებს;
- პასუხისმგებელი პირების ჩართულობით მომზადდა და 2023 წლის 15 მაისიდან ამოქმედდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ თანამშრომელთა მივლინების ადმინისტრირების წესი;
- გარე წარმოების პროგრამების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ბაზრის კვლევის ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულებები ტურიზმის შესახებ გადაცემებისა და გამოჩენილი ადამიანებისა და ისტორიული მოვლენების შესახებ ვიდეორგოლების მოწოდების შესახებ;

- მორიგებით დასრულდა სასამართლო დავა მოსარჩელე თეონა ხარაბაძესთან;
- დირექტორის მრჩევლის ინიცირებითა და სხვა პასუხისმგებელი პირების ჩართულობით მომზადდა პროგრამების პასპორტიზაციისათვის საჭირო ინფორმაცია;
- აქტიურად მიმდინარეობს აჭარის რადიოს ოქროს ფონდის გაციფრულების პროცესი რადიოს თანამშრომლების უშუალო ჩართულობითა და აჭარის საარქივო სამმართველოსთან თანამშრომლობით.
- აქტიურად მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებები ვირტუალური სტუდიის შექმნის მიზნით;
- 2023 წლის 1 აპრილიდან ბათუმის შემოსავლეში (გვირაბთან), სარფში, ქედაში, შუახევსა და ხულოში განთავსდა მაუწყებლის განახლებული ბანერები.

კვარტლის გამოწვევა - მთავარ გამოწვევად (როგორც კვარტლის, ისე ზოგადად) კვლავ რჩება, მაუწყებლის ადამიანური რესურსების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა, არსებული ორგანიზაციული რისკების იდენტიფიცირება, მათი მინიმუმამდე დაყვანის მიზნით სათანადო ღონისძიებების განხორციელება.

„პროგრამა=პრიორიტეტს“ შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:

ტელევიზია - შედეგები და საჭიროებები

მაუწყებლის სატელევიზიო ეთერში აქტიურად შუქდებოდა ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები, სოციალური-კულტურული თუ ეკონომიკური აქტივობები. ქვეყანაში მიმდინარე საპროტესტო აქციების დროს განხორციელდა სპეც. ეთერები და ახალი ამბების სამსახური მუშაობდა საგანგებო რეჟიმში. ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ასევე რეგიონში არსებული მოვლენები, ყველა მუნიციპალიტეტის მასშტაბით შუქდებოდა სოციალური და პოლიტიკური მოვლენები. აქტიურად შუქდებოდა რუსეთ-უკრაინის ომი.

საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურში ჩამოყალიბებული პრომოუშენის განყოფილების/ჯგუფის მიერ მომზადდა: 9 აპრილთან დაკავშირებული სხვადასხვა შინაარსის სამი ვიდეოარტი, ქართული ენის დღესთან დაკავშირებული გრაფიკული ტიხარი, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული სხვადასხვა შინაარსის ორი ვიდეოარტი, სააღდგომო ვიდეოარტები და გრაფიკული ტიხრები, ქართული არმიის დღისადმი მიძღვნილი ვიდეოარტი, ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი ვიდეოარტი, ვიდეოარტი „ევროპა ჩემი სახლია“, მუსიკალური კლიპი ბათუმზე, სამი ვიდეოარტი სხვადასხვა პროფესიის ადამიანებზე.

აქტიურად მუშაობს დოკუმენტური ფილმების სტუდია. ეთერში განთავსდა სტუდიის მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმები.

მაუწყებლის პროექტების გაუმჯობესებისა და დახვეწისათვის განხორციელდა მათი პასპორტიზაციის პირველადი სამუშაოები. განვითარების სამსახურთან ერთად ევროპის მაუწყებელთა კავშირში გაერთიანებული საზოგადოებრივი მაუწყებლების გამოცდილების მიხედვით შემუშავდა შაბლონი, რომელიც მედიაპროექტების ერთგვარ პასპორტს წარმოადგენს. დოკუმენტაცია მოიცავს: პროექტის ზოგად მონაცემებს, პროექტის ამჟამინდელი სტატუსს, პროექტის ანოტაციას, სტრუქტურას, ადამიანურ რესურსს, საწარმოო პროცესს, მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს, ბიუჯეტს, შეფასებას (მაუწყებლობის ფაზას). პასპორტიზაციის შემუშავებული ანკეტა შეავსეს პროექტების პროდიუსერებმა, რაც ახალი სეზონისთვის პროექტების ფორმატების დახვეწისა და გარდაქმნის კვალდაკვალ დაკორექტირდება.

ეთერში განთავსდა ორი ახალი საავტორო-შემოქმედებითი გადაცემა „ტელეპორტალი“ და „ბიომეტრია“.

როგორც ცნობილია, აჭარის ტელევიზია ამ ეტაპზე მაუწყებლობს 17 საათიანი სატელევიზიო ეთერით. კვირის სატელევიზიო საეთერო ბადის მონაცემთა სტრუქტურა პრიორიტეტებთან მიმართებაში შემდეგნაირია:

| პროგრამის დასახელება | სულ ქრონომეტრაჟი წუთებში კვირის განმავლობაში | წილი კვირის საერთო ქრონომეტრაჟში | შესაბამისი პროგრამული პრიორიტეტი |
|-------------------------------------|----------------------------------------------|----------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| საინფორმაციო გამოშვება | 975 | 13.66% | საზოგადოების ინფორმირება რეგიონსა და სრულიად საქართველოში მიმდინარე მოვლენებისა და პოლიტიკური პროცესების შესახებ |
| საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუები | 240 | 3.36% | პოლიტიკური დებატების უზრუნველყოფა |

2023 წლის მეორე კვარტლის ანგარიში
დირექტორი ვლადიმერ ტატიშვილი

| | | | |
|----------------------------------------------------------------------|----|---------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| „გზამკვლევი“ | 60 | 0.84% | სოციალური პროექტების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება |
| <i>სულ</i> | | 17.86% | |
| შიდა წარმოების საავტორო გადაცემები და დოკ. ფილმები | | | |
| „ერთი დღე სოფელში“ (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით) | 80 | 1.12% | ქართული სოფლების ცხოვრების წესის, ტრადიციებისა და ადათ-ჩვევების წარმოჩენა, ტურისტული სექტორის პოპულარიზაცია |
| „სახალხო კონტროლი“ (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით) | 60 | 0.84% | მომხმარებელთა უფლებების დაცვა, სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები |
| „მე ვარ ფერმერი“ (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით) | 60 | 0.84% | მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და მასთან დაკავშირებული პრობლემები, სოფლის მეურნეობის სფეროს პრობლემები და გამოწვევები |
| „სცენა“ (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით) | 60 | 0.84% | კულტურული მრავალფეროვნების განვითარება, სასცენო ცხოვრების წარმოჩენა |
| „ბუნების კანონი“ (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით) | 60 | 0.84% | ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი პრობლემები |
| „ეთნოფორი“ (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით) | 60 | 0.84% | ქვეყნის ეთნიკური კულტურის პოპულარიზაცია |
| „ვემსახურები საქართველოს“ (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით) | 60 | 0.84% | სამხედრო თემატიკის პოპულარიზაცია |

| | | | |
|------------------------------------------------------------------------|-----|---------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| „ბიბლიოთეკა“ (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით) | 60 | 0.84% | ლიტერატურის პოპულარიზაცია |
| „პროექცია“ (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით) | 120 | 1.68% | სხვადასხვა სფეროს წარმატებული ადამიანების წარმოჩენა |
| „მუსOWN“ (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით) | 20 | 0.28% | კულტურული მრავალფეროვნების განვითარება, მუსიკის პოპულარიზაცია |
| „თეთრი კვადრატი“ ფილმთან ერთად (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით) | 200 | 2.80% | კულტურული მრავალფეროვნების განვითარება, კინემატოგრაფიის პოპულარიზაცია |
| „მსხალი“ (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით) | 120 | 1.68% | შემეცნებითი მიმართულებით ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა |
| „ტელესპექტაკლები“ | 30 | 0.42% | რეგიონული თეატრებისა და მათი სპექტაკლების პოპულარიზაცია |
| „ბიომეტრია“ (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით) | 50 | 0,7% | სხვადასხვა სოციალური ჯგუფის საჭიროებების, მოთხოვნებისა და ინტერესების წარმოჩენა |
| „ტელეპორტალი“ (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით) | 50 | 0,7% | შემეცნებითი მიმართულება- ქვეყნის (რეგიონის) თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობების და კულტურული მრავალფეროვნების წარმოჩენა |
| დოკ. ფილმების სტუდიის საავტორო დოკუმენტური ფილმები | 175 | 2.45% | დოკუმენტალის ტიკა |
| <i>სულ</i> | | 17.72% | |

2023 წლის მეორე კვარტლის ანგარიში
დირექტორი ვლადიმერ ტატიშვილი

| <i>სტუდიური გადაცემები</i> | | | |
|-----------------------------------------------------------------|-----|---------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------|
| „სპორტკლუბი“ | 60 | 0.84% | რეგიონისა და ქვეყნის სპორტული საკითხები და სპორტის პოპულარიზაცია |
| „არტ-ექსპერტი“ | 60 | 0.84% | ხელოვნებისა და კულტურის სფეროს საკითხების წარმოჩენა |
| „იმპულსი“ | 60 | 0.84% | ჯანდაცვის საკითხები |
| „ზუმ განათლებაზე“ | 60 | 0.84% | განათლების თემების წარმოჩენა |
| „რაკურსი ევროპისკენ“ (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით) | 60 | 0.84% | ევროინტეგრაციის პოპულარიზაცია და მისი რეალური სარგებლის წარმოჩენა |
| „მთავარი ეკონომიკაში“ | 60 | 0.84% | რეგიონსა და ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების შესახებ საზოგადოების ინფორმირება |
| „დილის ტალღა“ | 180 | 2.52% | შემეცნებით-გასართობი მიმართულება |
| „დიდი შესვენება“ | 300 | 4.20% | შემეცნებით-გასართობი მიმართულება |
| <i>სულ</i> | | 11.76% | |

შეძენილი მექანიკური პროდუქცია

| | | | |
|--------------------|-----|-------|---------------------------------|
| ანიმაციური ფილმები | 495 | 6.93% | საბავშვო პროგრამების განთავსება |
|--------------------|-----|-------|---------------------------------|

2023 წლის მეორე კვარტლის ანგარიში
დირექტორი ვლადიმერ ტატიშვილი

| | | | |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------|---------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| დოკ. ფილმები (თემატიკა: ეკოლოგია, საინჟინრო პროექტები, ხელოვნება, კულტურა, მეცნიერება, შემეცნებითი, ტურიზმი) განმეორებითი ჩვენებების გათვალისწინებით | 1010 | 14.15% | ეკოლოგიის, ინჟინერიის, ხელოვნების, კულტურის, მეცნიერების ტურიზმის მიმართულებები |
| ქართული მხატვრული ფილმები | 510 | 7.14% | |
| უცხოური მხატვრული ფილმები | 1210 | 16.95% | |
| <i>სულ</i> | | 45.17% | |
| გარე წარმოების შექმნილი პროგრამები | | | |
| „ბიზნეს-სტანდარტი“ (ბადეში იყო 31 მაისის ჩათვლით) | 175 | 2.45% | ბიზნესის სფეროს ანალიტიკა |
| „დარტის“ (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით) | 60 | 0.84% | საბავშვო პროგრამების განთავსება |
| <i>სულ</i> | | 3.29% | |
| მემორანდუმის ფარგლებში მოწოდებული პროგრამები | | | |
| დოიჩე ველეს პროგრამები (თემატიკა: ხელოვნება, კულტურა, მსოფლიო გლობალური პრობლემები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მედიცინა, ტურიზმი) განმეორებითი ჩვენებების გათვალისწინებით | 300 | 4.20% | მსოფლიოს ხელოვნების, კულტურის, გლობალური პრობლემების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, მედიცინის, ტურიზმის საკითხები |
| <i>სულ</i> | | 4.20% | |

შექმნილი დოკუმენტური ფილმების თემატიკის განაწილება კვარტლის განმავლობაში შემდეგნაირია:

| თემატიკა | ქრონომეტრაჟი კვარტლის განმავლობაში საათებში | წილი დოკ. ფილმების საერთო ქრონომეტრაჟში |
|-------------------------|---------------------------------------------|-----------------------------------------|
| საინჟინრო მიღწევები | 24 | 12.63% |
| კულტურა | 28 | 14.74% |
| ეკოლოგია, გარემოს დაცვა | 66 | 34.74% |
| აგრომიმართულება | 15 | 7.89% |
| სპორტი | 6 | 3.16% |

2023 წლის მეორე კვარტლის ანგარიში
დირექტორი ვლადიმერ ტატიშვილი

| | | |
|----------------------|-------------------|-----------------------|
| ტურიზმი | 29 | 15.26% |
| შემეცნებით-გასართობი | 22 | 11.58% |
| <i>სულ</i> | <i>190</i> | <i>100.00%</i> |

დღის განმავლობაში საშუალოდ 55 წუთი ეთმობა სოციალურ რეკლამებს (5 წუთიანი ბლოკი საშუალოდ 11-ჯერ, საშუალოდ 60 წუთი - ანონსებს (4 წუთიანი ბლოკი 15-ჯერ), საშუალოდ 18 წუთი - შიდა არტებს (90 წამიანი 12-ჯერ).

2023 წლის მეორე კვარტლის განმავლობაში ტელევიზიის ეთერში განთავსდა სულ 54 წუთის კომერციული რეკლამა.

რადიო - შედეგები და საჭიროებები

რადიოს ეთერში მუდმივად გადაიცემოდა რეგიონსა და ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ უახლესი ინფორმაცია. რადიო მოწოდებულია მსმენელს შესთავაზოს საინტერესო კონტენტი. ჩაიწერა აჭარის რადიოს სხვადასხვა რეგიონში სამაუწყებლო სიხშირეების მაუწყებელი არტები. მიმდინარეობს წინამოკვლევითი სამუშაოები რადიოს საეთერო სტუდიის ახალი სეზონისთვის მოსამზადებლად. ამავდროულად, ახალი სეზონისთვის მიმდინარეობს იდეების კონსოლიდირება როგორც არსებული გადაცემების, ასევე ახალი პროექტების დასაგეგმად ეთერში ჩაეშვა ოთხი ახალი რუბრიკა: „გოგონა დიქტოფონით“, „პროფესია მშობელი“, „ალგორითმი“ და „მარსელ პრუსტის კითხვარი“.

როგორც ცნობილია, აჭარის რადიო მაუწყებლობს 24 საათიანი რადიო ეთერით. კვირის რადიო საეთერო ბადის მონაცემთა სტრუქტურა პრიორიტეტებთან მიმართებაში შემდეგნაირია:

| პროგრამის დასახელება | სულ ქრონომეტრაჟი კვირაში (წთ) | წილი კვირის საერთო ქრონომეტრაჟში | შესაბამისი პროგრამული პრიორიტეტი |
|------------------------------------|-------------------------------|----------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <i>მუსიკალური ფლეილისტი</i> | | | |
| მუსიკა | 2455 | 24.35% | შემეცნებით-გასართობი მიმართულება |
| ღამის მუსიკალური პროგრამა | 3570 | 35.42% | შემეცნებით-გასართობი მიმართულება |
| <i>სულ</i> | | <i>59.77%</i> | |
| <i>სტუდიური პროგრამები</i> | | | |
| დილის რადიო | 450 | 4.46% | გასართობ-შემეცნებითი მიმართულება (ტურიზმი, განათლება, ჯანდაცვა, ეკოლოგია, სპორტი, მეცნიერება), ადამიანის უფლებები |

2023 წლის მეორე კვარტლის ანგარიში
დირექტორი ვლადიმერ ტატიშვილი

| | | | |
|-------------------------------|-----|---------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| საინფორმაციო გამოშვება | 420 | 4.17% | საზოგადოების ინფორმირება რეგიონსა და სრულიად საქართველოში მიმდინარე მოვლენებისა და პოლიტიკური პროცესების შესახებ, პოლიტიკური დებატების უზრუნველყოფა |
| ქართული ესტრადა | 385 | 3.82% | ქართული კულტურის პოპულარიზაცია |
| ღია ეთერი | 90 | 0.89% | საბავშვო მიმართულება, განათლება, ჯანდაცვა, ადამიანის უფლებები |
| სპორტი | 45 | 0.45% | რეგიონისა და ქვეყნის სპორტული საკითხები და სპორტის პოპულარიზაცია |
| კონტაქტი | 225 | 2.23% | ეკონომიკა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, განათლება, ჯანდაცვა |
| კომპეტენტური პასუხი | 120 | 1.19% | საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ |
| თვითმართველობა | 60 | 0.59% | თვითმმართველობის მიმართულებით არსებული პრობლემების გაშუქება და ანალიზი |
| საღამო მშვიდობისა | 900 | 8.93% | გასართობ-შემეცნებითი მიმართულება (შოუ-ბიზნესი, კულტურა, ხელოვნება) |
| შუადღის ზოლი | 960 | 9.52% | გასართობ-შემეცნებითი მიმართულება (შოუ-ბიზნესი, კულტურა, ხელოვნება) |
| სულ | | 36.25% | |
| არასტუდიური პროგრამები | | | |
| ეკო სამყარო | 20 | 0.20% | ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი პრობლემები |
| რადიობაქანი | 40 | 0.40% | გასართობ-შემეცნებითი მიმართულება (კულტურა, ლიტერატურა, ისტორია) |
| სილამაზის ფორმულა | 40 | 0.40% | შემეცნებითი მიმართულება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია |
| კინობლოგი | 50 | 0.50% | კინემატოგრაფია |
| ფმ ფანტაზიები | 120 | 1.19% | კულტურული მრავალფეროვნების განვითარება, მუსიკის პოპულარიზაცია |

2023 წლის მეორე კვარტლის ანგარიში
დირექტორი ვლადიმერ ტატიშვილი

| | | | |
|----------------------------------|----|--------------|---------------------------------------------------------------|
| მუსიკა | 15 | 0.15% | კულტურული მრავალფეროვნების განვითარება, მუსიკის პოპულარიზაცია |
| სულ | | 2.84% | |
| რუბრიკები | | | |
| ერთი სეტი | 8 | 0.08% | გასართობ-შემეცნებითი მიმართულება (მუსიკა) |
| დაუსრულებელი პლეილისტი | 8 | 0.08% | გასართობ-შემეცნებითი მიმართულება (მუსიკა) |
| განძი ხელთუქმნელი | 16 | 0.16% | გასართობ-შემეცნებითი მიმართულება (ქართული ფოლკლორი) |
| არტ ფაილი | 8 | 0.08% | გასართობ-შემეცნებითი მიმართულება (ლიტერატურა) |
| სულ | | 0.40% | |
| გარე წარმოების პროგრამები | | | |
| ბათუმური დღიურები | 30 | 0.29% | შემეცნებითი მიმართულება (ისტორია, ლიტერატურა) |
| ჩემი ალტერნატივა | 45 | 0.45% | ქართული ე.წ. ადრეგრანდ ესტრადის პოპულარიზაცია |
| სულ | | 0.74% | |

დღის განმავლობაში რადიოს ეთერის 36 წუთი ეთმობა ანონსებს (3 წუთიანი ბლოკი საშუალოდ 12-ჯერ).

2023 წლის მეორე კვარტლის განმავლობაში რადიოს ეთერში განთავსდა სულ 320 წუთის კომერციული რეკლამა.

ინტერნეტი - შედეგები და საჭიროებები

მაუწყებლის ვებ-გვერდსა და სოც. ქსელებში იტვირთება სატელევიზიო და რადიო ეთერში გასული გადაცემები, მაუწყებლის ადმინისტრაციისა და მრჩეველთა საბჭოს დოკუმენტები, გადაწყვეტილებები და სხდომების ვიდეოჩანაწერები. ვიდეო მასალები დახარისხდა და აიტვირთა მაუწყებლის YouTube არხზე. სოც. ქსელებში ზიარდება პრომოუშენის განყოფილების მიერ მომზადებული გადაცემების ანონსები, საიმიჯო და საინფორმაციო ვიდეორგოლები. მაუწყებლის გადაცემების ფეისბუქგვერდსა და Instagram-ზე აქტიურად თავსდება დამოუკიდებელი კონტენტები გადაცემების მასალების გამოყენებით.

მოქალაქეთა ინტერაქციის მიხედვით კვარტლის მაჩვენებლები შემდეგნაირია:

| LIVE DISPLAYS ▾ INTELLIGENCE ▾ SEARCH | | | | | | |
|----------------------------------------------------------------|--------------------|------------------|--------------------|-----------------------|----------------|-------------------|
| The Public Broadcaster of Ajara ... > List > 15 Facebook Pages | | | | | | ☆ |
| აჭარის ტელევიზია | | | | | | |
| Posts Leaderboard Notifications Manage | | | | | | |
| All Posts ▾ Custom Date Range ▾ Any Page Size ▾ By Followers ▾ | | | | | | |
| 04/05/2023 - 07/06/2023 | | Go | | | | |
| Page Name | Total Interactions | Interaction Rate | Avg. Posts Per Day | Views on Owned Videos | Page Followers | Growth % and # |
| Average Total | 24,826.13 | 0.772% | 2.17 | 469,228.73 | 34,210.67 | +5.6% |
| ერთი დღე სოფელში • Ajara TV | 110,931 | 1.382% | 1.09 | 1.20M | 81,825 | +3.98% +3,135 |
| დიდი შესვენება • Ajara TV | 103,310 | 1.268% | 4.38 | 2.44M | 22,209 | +22.28% +4,046 |
| დილის ტალღა / Dilis Talga | 93,942 | 0.578% | 3.91 | 2.26M | 47,225 | +10.43% +4,459 |
| სპორტკლუბი • SportClub • Adjaratv.ge | 33,511 | 0.773% | 4.4 | 346,912 | 10,794 | +3.55% +370 |
| ვესაზურები საქართველოს • Ajara TV | 11,261 | 3.863% | 0.14 | 331,932 | 23,076 | +6.05% +1,316 |
| მე ვარ ფერმერი / Me Var Farmeri | 6,376 | 0.686% | 0.13 | 162,973 | 77,714 | +0.88% +681 |
| აჭარის ტელევიზია • Ajara TV - საზოგადოებრივი მაუწყებელი | 4,015 | 0.002% | 14.39 | 100,312 | 186,229 | -0.17% -314 |
| დილის რადიო • Radio Ajara | 4,005 | 0.231% | 2.54 | 81,401 | 7,516 | +4.43% +319 |
| ART ესპერტი / • Ajara TV | 1,892 | 1.133% | 0.71 | 54,322 | 2,652 | +7.41% +183 |
| გასტრომოყვარული • Gastrolover | 1,872 | 0.405% | 0.51 | 37,890 | 9,703 | +1.45% +139 |
| ზიზიოთეკა • Ajara TV | 924 | 0.98% | 0.15 | 13,112 | 7,414 | +22.55% +1,364 |
| იმპულსი • Impulsi | 188 | 0.137% | 0.13 | 5,180 | 10,944 | +0.44% +48 |
| ზუნების კანონი | 165 | 0.144% | 0.12 | 6,025 | 10,422 | +0.17% +18 |
| თეთრი კვადრატი / White Quadrat | — | — | — | — | 1,044 | +0.58% +6 |
| ZOOM განათლებაზე | — | — | — | — | 14,393 | -0.06% -8 |

განსაკუთრებით მზარდია საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების - „ერთი დღე სოფელში“, „დიდი შესვენება“, „დილის ტალღა“ - ვიდეობის ყურებადობის მაჩვენებლები და თითოეულთან მიმართებაში მე-2 კვარტალში სცდება 2 მილიონს.

კონკურენტ არხებთან მიმართებაში მაჩვენებლები შემდეგნაირია:

ინტერაქციის თვალსაზრისით - მე-40 ადგილი (გამოწვეულია მაუწყებლის მთავარი გვერდის დაბლოკვით და შემდეგ აღდგენით);

ვიდეოების ყურებადობა - 31-ე ადგილი;

აუდიტორიის რაოდენობით - მე-19 ადგილი;

დღიურად პოსტების გამოქვეყნების მიხედვით - მე-26 ადგილი.

Youtube-ზე კვარტლის მონაცემებით აუდიტორიის ჩართულობა მზარდია. დაგვემატა 2000 ფოლოუერი, 893 ათას გადასცდა ვიდეოების ყურებადობა. ასევე, მზარდია აუდიტორიის ჩართულობის დინამიკა Instagram-ზე.

მონიტორინგის ანგარიშები

მონიტორინგის/ხარისხის კონტროლის სამსახურის წარმომადგენლები ყოველი თვის დასრულების შემდეგ დირექტორს წარუდგენენ ინფორმაციას სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობისა და მონიტორინგის შედეგების შესახებ, რომლის განხილვაც ხორციელდება ერთობლივ ყოველთვიურ სამუშაო შეხვედრაზე, ინფორმაცია მიეწოდება მაუწყებლის სამსახურებს. მაუწყებლის სტრუქტურული რეფორმირების და თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების საკითხებში დირექტორის მრჩევლის უშუალო ჩართულობით ხორციელდება მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებისთვის შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა, რომლის საფუძველიც არის ერთგვარი SWOT ანალიზი შეთანხმებული კრიტერიუმების მიხედვით.

იურიდიული მხარდაჭერა

გაფორმდა ხელშეკრულებები გარე წარმოების გადაცემების, მექანიკური პროდუქციის და სხვა მომსახურებების შესყიდვის მიზნით, რომლის ფარგლებშიც შეძენილია:

გარე წარმოების გადაცემები:

- ტურიზმის თემაზე სატელევიზიო გადაცემა "მოგზაურის დღიური";
- გამოჩენილი ადამიანებისა და ისტორიული მოვლენების შესახებ ვიდეორგოლები.

მექანიკური პროდუქცია:

- 5 ერთეული ქართული მხატვრული ფილმი;

სხვა მომსახურება:

- რადიოპროგრამების განახლება;
- მუსიკალურ ნაწარმოებზე განსაკუთრებული საავტორო უფლების შექმნა;
- რადიოვიზუალიზაციის პროგრამის განახლება;
- მუსიკალური ნაწარმოების შექმნა და სხვა.

➤ **სასამართლო დავები**

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით მალხაზ რეხვიაშვილი სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;
2. დავა მოსარჩელე შორენა ღლონტთან - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება გასაჩივრდა ორივე მხარის მიერ საკასაციო სასამართლოში. საჩივრები დასაშვებად იქნა ცნობილი;
3. დავა მოსარჩელე თეონა ხარაბაძესთან დასრულდა მორიგებით;
4. ა(ა)იპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ალტერნატიული პროფესიული კავშირის, ვანცენტ ხაბეიშვილის, ირაკლი ყურუას სარჩელი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს მიმართ შემდეგი მოთხოვნით: ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2020 წლის 24 ნოემბრის №02-03/46 "სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ თანამშრომლების ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში ქცევის წესებში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ თანამშრომლების ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში ქცევის წესების მე-11 მუხლის პირველი წინადადება: "მაუწყებლის თანამშრომლებმა თავი უნდა შეიკავონ პოლიტიკური პრეფერენციების - საჯაროდ გამოხატვისგან, რომელსაც შეუძლია მათი მიუკერძოებლობის და ობიექტურობის ეჭვქვეშ დაყენება" დარჩა განუხილველი და მოსარჩელეს დაუბრუნდა საქმის მასალები სრულად.

ყველა სხვა დავა არის განხილვის ეტაპზე.

კვარტლის სახელმწიფო შესყიდვები

კვარტლის განმავლობაში გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების შესყიდვის მიზნით, მათ შორის:

ელექტრონული ტენდერების ფარგლებში:

- საინფორმაციო სამსახურისთვის 10 კომპლექტი ვიდეოკამერა;
- 10 კომპლექტი მუშა სადგური;
- კარტრიჯები;
- ბრენდირებული საწვიმარი ლაბადები, ჟილეტები;
- ბრტყელი მონიტორები;

- სატელევიზიო აპარატურის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება;
- კომპიუტერული მარაგ-ნაწილები;
- მანქანის რეცხვა და ტექ. მომსახურება.

კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებში:

- ავტომობილების საბურავებისა და აკუმულატორების შეძენა;
- ავეჯის (შავარძლების) შეძენა;

გამარტივებული შესყიდვების ფარგლებში:

- მთარგმნელობითი მომსახურება;
- ავტომობილთა ტექ. ინსპექტირება;
- პროექტისა და გეგმის მომზადება, ხარჯების გამოთვლა-მაუწყებლის შენობების სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით;
- ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების შეკეთება და ტექ. მომსახურება;
- საარქივო მომსახურება;
- მიკროფონის ღრუბლები;
- რადიოტელეგადაცემების მოსამზადებელი აპარატურა-2K გამოსახულების ვიდეოპროცესორები;
- ვიდეოთვალთვალის კამერების კომპლექტი;
- ქსელური მოწყობილობები-Wifi-ები და სიჩქარის მოდულები;
- ციფრული პიანინო;
- 5 წლამდე ავტომობილთა ტექ. მომსახურება;
- სხვადასხვა სახის სამეურნეო საშუალებები;
- მაკიაჟის საშუალებები;
- თმის პრეპარატები და ნივთები და სხვა.

კვარტლის განმავლობაში გამოცხადდა და მიმდინარეობის ეტაპზეა ელექტრონული ტენდერები შემდეგი საშუალებების შესყიდვის მიზნით:

- მიკროფონებისა და სატელევიზიო ტექნიკის სხვა აქსესუარები;
- საკანცელარიო ნივთები;

- 1 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება;
- სტუდიების განახლება;

ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შექმნა

კვარტლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა არსებული შრომითი ხელშეკრულებების ანალიზი და დასაქმებულთა მიერ განსახორციელებელ ფუნქციამოვალეობებთან სრულად შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები.

მაუწყებლის სტრუქტურული რეფორმირების და თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების საკითხებში დირექტორის მრჩეველის უშუალო ინიცირებით და საკადრო ბაზის სამსახურის ორგანიზებით განხორციელდა მაუწყებლის თანამშრომელთა ტრენინგისა და მსოფლიო გამოცდილების გაზიარების მიზნით შემდეგი ღონისძიებები:

- ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ქვეყნის ინტეგრირების პროცესის სიღრმისეულად გაცნობის მიზნით, მიმდინარე წლის 18 მაისს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის დახმარებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს თანამშრომელთათვის გაიმართა 2 საჯარო ლექცია-სემინარი თემაზე: კიბერუსაფრთხოება, ევროკავშირი-საქართველო.

ლექცია-სემინარებს უძღვებოდნენ:

- აკაკი შეყელაძე, კიბერუსაფრთხოების ბიუროს ინფორმაციული უსაფრთხოების უფროსი მენეჯერი. მან ყურადღება გაამახვილა ისეთ საკითხებზე როგორცაა: კიბერსივრცისა და კიბერუსაფრთხოების არსი; არსებული გამოწვევები; საქართველოსა და ნატო-ს თანამშრომლობა კიბერუსაფრთხოების სფეროში. ასევე, კიბერჰიგიენის ძირითადი მიდგომები და ონლაინ სივრცეში არსებული პრობლემები და საფრთხეები;

- გიორგი ჩიტაძე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სსიპ-აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე. ძირითადი თემატიკა: ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების ხელშესახები სარგებელი - ასოცირების შეთანხმების ბენეფიტები; ევროკავშირი-საქართველოს ფორმატში მიმდინარე პროგრამები და თანამშრომლობის შესაძლებლობები.

შეხვედრისას, რომელიც ბათუმის ტექნოპარკში გაიმართა, მაუწყებლის თანამშრომლებმა მიიღეს მრავალმხრივი ინფორმაცია საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის მნიშვნელობასა და პერსპექტივებზე. ასევე იყო აქტიური ინტერაქცია მომხსენებლებთან.

- მიმდინარე წლის 3, 4 მაისს სცენარისტმა და რეჟისორმა, ქართულ - ამერიკული კინოაკადემიისა და თბილისის შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ლექტორმა - გივი (ბესო) ოდიშარიამ, მაუწყებლის თანამშრომელთათვის ჩაატარა ორდღიანი მასტერკლასი შემდეგი მიმართულებით: ტელე-კინო სცენარის საფუძვლები, თანამედროვე სცენარის ანალიზი.

ბესო ოდიშარიამ აუდიტორიას, ასევე, გაუზიარა სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების სცენარისა და რეჟისურის მიმართულებით მუშაობის საკუთარი პრაქტიკული გამოცდილება. ყურადღება გაამახვილდა როგორც კლასიკურ, ასევე, თანამედროვე სცენარის საფუძვლებზე. ორივე შეხვედრა, მაუწყებლის თანამშრომელთათვის ინფორმაციის მიწოდების გარდა,

ინტერაქტიულ ხასიათს ატარებდა. მასტერკლასები ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში გაიმართა.

მაუწყებლის სტრუქტურული რეფორმირების და თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების საკითხებში დირექტორის მრჩეველი აქტიურად მართავს შეხვედრებს მაუწყებლის თანამშრომლებთან და ახორციელებს შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას სამაუწყებლო სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.

„შემდეგი თაობა“ - სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა;

კვარტლის განმავლობაში სტაჟიორთა მიღების მიზნით გამოცხადდა შემდეგი კონკურსები:

- ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურში - შერჩეული იქნა 1 სტაჟიორი;
- ახალი ამბების სამსახურში - შერჩეული იქნა 1 სტაჟიორი;
- საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურში - შერჩეული იქნა 22 სტაჟიორი.
- სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში/სამსახურებში სასწავლო პრაქტიკას გადის ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის 5 სტუდენტი;

საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები

მაუწყებელი ღია ერთობლივი პროექტებისა და თანამშრომლობისათვის. ამჟამად მემონანდუმების ფარგლებში მაუწყებლის პარტნიორი ორგანიზაციებია:

- „ამერიკის ხმა“;
- „მაუწყებელთა ალიანსი“;
- „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“;
- „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“;
- საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“;
- „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი“;
- ა(ა)იპ კვლევითი ჟურნალისტიკისა და ადვოკატირების ცენტრი“;
- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“;
- სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“;
